წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 11 გიორგობისთვე 1915 წ. № 140

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 1[illegible] კ. უკანასკნელზე—10 [illegible] სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

„ხარფუხის საზოგადო კლუბი“

(მიხეილის პროსპექტი № 129—131)

ოთხშაბათს, 11 გიორგობისთვეს. **ქართული წარმოდგენა,** ქართულ-დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი. იქნება **„ფული და ხარისხი“.** კომედია 3 მოქმ. აზიანისა. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

ხუთშაბათს, 12 გიორგობისთვეს **სიმებიანი ორკესტრი** ბ. პრესმანის ლოტბარობით.

პარასკევს, 13 გიორგობისთვეს. **კონცერტი** ე. ბროჯის, ორლიანსკისა, კულბიცკაისა, ნემეტტის და სხ. მონაწილეობით: შეასრულებენ: ქართულს, რუსულს და სომხურ რომანსებს. დაწვრილებით აფიშებში.

შაბათს, 14 გიორგობისთვეს **სიმებიანი ორკესტრი** ბ. პრესმანის ლოტბარობით.

კვირას, 15 გიორგობისთვეს. **სამუსიკო საღამო.** ბ. პრესმანობის ლოტბარობით, ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით. „სოპორნო“.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათ. წარმოდგენების და კონცერტების საღამოს 8-ნახევარ საათზე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრადში“

კრუზენსტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.

თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

25—6 პატივისცემით **ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.**

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დაიკარგა პასპორტი,

იოსებ ნიკოლოზის ძის ჩიკვაიძისა, 1918 წლამდის მიცემული. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვთ ამ ადრესით დაგვიბრუნოს: Тифлисъ Гунибская ул. № 37.—ან რედაქციაში მიიტანოს.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

პარასკევს, 13 ნოემბერს 1915 წ. ◆ ◆ **სეზონის გასახსნელად**

ქართული დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის 4 მოქ. პიესა

გადაჭრილი მუხა

მონაწილეობს მთელი დასი ◆ ◆ ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

ადგილების ფასი სამი შაურიდან მანათ ნახევრამდე

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია **ორშაბათს 16 ნოემბერს.**

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად. მორიგი წევრი გამგეობისა **ნ. ერისთავი.**

ომის ამბები

ომის დეპეშები

პეტროგრადი, 4 გიორგობისთვე. **ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. სოფ. პულკარნის რაიონში, რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გერმანელები შევიწროვებულ იქმნენ. მათი თხრილები ზოგიერთგან დაანგრიეს— რიგის ყურიდან მოყოლებული პრიპიატამდე მდგომარეობა უცვლელია. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე რავალოვკა-ჩარტორისკთან რამდენიმე შეტაკება მოხდა, რასაც საზოგადო მდგომარეობა არ შეუცვლია.**

გალიციაში მდ. სტრიპის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ რაზმებთან მოხდა შეტაკება. ვენიაზის მხრით წამოსულ მტერს რუსები ერთსულოვანი სროლით შეხვდნენ. სოფ. ხმელევკასთან ბრძოლა გრძელდება. მის სამხრეთით რუსებმა დაიჭირეს სოფ. იანოვკა.

ბალტიის ზღვა. 7 გიორგობისთვეს რუსის ნაღმოსნებმა მცირე ბრძოლის შემდეგ ვანდავის მახლობლად დაჭლუპეს გერმანელთა მოდარაჯე ხომალდი. ერთი აფიცერი და 19 ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანეს. რუსებს ზარალი არ მოსვლიათ.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ბელგეთი.

ჰავრი. 8 გიორგობისთვე. ბელგეთის ცნობა. მტერი ზარბაზანს უშენდა დიქსმიუდეს მახლობლად მდებარე სანგრებს. ბელგიელთა არტილერიაც უპასუხებდა. მოპირდაპირემ ფიურნას ზარბაზნები დაუშინა. ბელგიელმა მფრინავებმა ესენთან დაბანაკებულ გერმანელთა ჯარს ყუმბარები ესროლეს.

ინგლისის ცნობა.

ლონდონი. 7 გიორგობისთვე. ოფიციალი ცნობა. 21 ღვინობისთვეს ინგლის-საფრანგეთის ჯარმა კამერუნში ტიბატი აიღო. 24 ღვინობისთვეს ინგლისის ჯარმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, ბანიკის მთის მწვერვალო დაიპყრო. დამარცხებული მტერი გაიფანტა. მას დაედევნენ. ბევრი სასროლი მასალა დარჩათ.

ცეტინიე, 9 გიორგ. მთაშაველთა არმიაზე იერიშები მიიტანეს გერმანელებმა, განსაკუთრებით დრანა-ლიმის მიმართულებით. იერიშები მოგერებულ იქმნა, თუმცა მთაშაველთა ჯარები იძულებული გახდნენ ახალს პოზიციებზე გამაგრებულიყვნენ.

ლონდონი, 9 გიორგობ. ათინიდან მოსული ცნობების თანხმად მოკავშირენი ყველა გემებს სასტიკად სჩხრეკენ, რომელზეც საბერძნეთის დროშაა აფრიალებული.

რომი, 8 გიორგ. იუსტიციის მინისტრმა ორლანდომ პალერმოში წარმოთქმულ სიტყვით აღნიშნა აუცილებლობა, რათა იტალიამა ომი განაგრძოს მოკავშირეებთან ერთად შეთანხმებულად. მინისტრი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ ჩვენი მოქმედება მოკავშირეთა მოქმედებას ეთანხმებოდეს და ამასთანავე აღნიშნა, რომ იტალეთის მონაწილეობა ბალკანეთის ოპერაციებში იმ სარწმუნო შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაიც უფრო საერთო გამარჯვების სასურველ შედეგამდის მიგვიყვანსო.

დასასრულ მინისტრი პროტესტს აცხადებს „ანკონეს“ დაღუპვის გამო.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი, 8 გიორგობისთვე. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტუაში, ლოოსის მიდამოებში, გიულიუკში, სომასა და ენს ჩრდილოეთით ზარბაზნებით ბრძოლა იყო. ასმანკურის, დანკურის და ტილლუას მიდამოებში, სუასონის მახლობლად მოპირდაპირის საველე სიმაგრეები ძლიერ დაზიანდა. არგონებში, ბოლანდის მახლობლად, ფრანგებმა ორი გამაგრებული ადგილი ააფეთქეს. ვოკუასთან ძლიერი ზარბაზნების სროლა იყო. გერმანელებმა მაასის მარჯვენა ნაპირას, შევალიეს ტყეში, ნაღმი ააფეთქეს, რომელმაც ფრანგების სანგრებს ზარალი ვერ მიაყენა.

ბალკანეთში.

პარიზი, 8 გიორგობისთვე. კოსტურინოსთან, მას მერე, რაც ბულგარელები საფრანგეთის ჯარმა საგრძნობ ზარალით მოიგერია, მთელი ბრძოლის პირზე სიწყნარე ჩამოვარდა. სოლუნში ინგლის საფრანგეთს ჯარი შეუწყვეტლივ მოჰყავთ.

სტოკჰოლმი, 9 გიორგობისთვე. შვეციის მეფემ აუდენციაზე მიიღო რუსის წითელ ჯვრის წარმომადგენელი სენატორი არბუზოვი. რუს-გერმანო-ავსტრიელთა წითელ ჯვრის კონფერენცია გაიხსნა დღეს. თავჯდომარეობს შვეციის წითელი ჯვრის თავჯდომარე პრინცი კარლოსი.

რომი, 8 გიორგობისთვე. იზონცოს ფრონტზე გუშინ ჩვენი იარაღის სიმარჯვემ იჩინა თავი, განსაკუთრებით მორიცის ჩრდილო-დასავლეთით. ჩვენი იერიშები დაიწყო დილიდანვე. ჯერ მავთულები გავარღვიეთ, შემდეგ ქვეითი ჯარით გავემართეთ. სან-ფლორიანთან და მორაცთან მტერმა სასტიკი წინაამდეგობა გაგვიწია, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა გაქცეულიყო. ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ 459 კაცამდე. მარტინოსთან ბრძოლაშიაც 137 კაცი დავატყვევეთ. გუშინ ოკიოში მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს, 8 ჯარისკაცი სუბუქად დაგვეჭრა. სამაგიეროდ ჩვენი მფრინავებიც ეწვიენ მათ. მიუხედავად ჯანყისა და ავდრისა, მათ ასიოდე ნაღმი ჩამოაგდეს და უვნებლად დაგვიბრუნდნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სპარსეთი.

თეირანის დატოვება.

გერმანეთის ელჩმა რეისმა, ავსტრია-უნგრეთის ელჩმა ლაგოტეტიმ და ოსმალეთის ელჩმა ასიმ-ბეიმ თეირანი დასტოვეს და ბინა დაიდვეს პატარა ქალაქში, კუმში, რომელიც თეირანიდან 30—40 ვერსის სიშორეზე მდებარეობს. ელჩებს გაყვნენ საელჩოს ყველა მოხელე. ამ სამ სახელმწიფოთა საელჩოებზე აღმართულია დღეს ისპანეთისა და ამერიკის ბაირაღები.

შაჰი თეირანში დარჩა.

სპარსეთის შაჰმა ახმეტმა თავის სატახტო ქალაქი არ დასტოვა. მან გადაჭრით განუცხადა რუსეთის ელჩს ფონ-ეტერს და ინგლისის ელჩს მარლინგს, რომ იგი თეირანს არ დასტოვებს. შაჰი არწმუნებს მათ, ამიერიდან რუსეთ-ინგლისის მხარეზე ვიქნებიო.

ყაზვინის რაზმი თეირანში არ შევა.

ყაზვინის რაზმი, რომელიც თეირანში მიდიოდა, თანახმად მიღებული ახალი ბრძანებისა სპარსეთის დედა ქალაქში აღარ შევა.

სერბეთი.

ჯართა მოძრაობის სიძნელე.

შუაგულ სერბეთის ბრძოლის ასპარეზი ერთ გაუვალ ტალახად არის გადაქცეული ხშირი წვიმების და ნიაღვრების წყალობით. გზები გადარეცხილია და სრულიად მოთხრილი. ამის გამო გერმანელებს მოძრაობა ძალიან უძნელდებათ. ბარგი, სამზარეულო და მძიმე არტილერია ჯარს ჩამორჩა. სანოვაგე და სამთო არტილერია ცხენებით და სხვა საშინაო პირუტყვით გადააქვთ. დიდძალი მწყემსობა ჯარის კვალ და კვალ ცხვრის ფარას და ღორის კოლტს მიერეკება, რაიცა შეადგენს გერმანელების ერთად ერთ საზრდოს. ვიწრო უღელტეხილებში, გერმანელებს თავს ესხმიან სერბთა ჩასაფრებული რაზმები და საგრძნობელ ზარალს აყენებენ მათ.

სერბეთის განაწილება.

ბულგარეთის ჯარის ვიცე-გენერალის მუსო ჯექოვი მოითხოვს, რომ ნიში და პი[illegible] ბულგარეთის საზღვრებში მოჰყ[illegible]

ბულგარე[illegible]მიერი იმ აზრისაა, რომ ბულგარე[illegible] დაუბრუნდეს ყველა ის მიწა, რომელიც 40 წლის წინედ ისტორიის უკანონობამ ბულგარეთს ჩამოაცალა და სერბეთის სამეფოს შეუერთაო.

დიპლომატიურ სფეროში

საფრანგეთის დიპლომატიის ერთ-ერთი წარმომადგენელი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქოს საფრანგეთი საბერძნეთის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდეს კერძო სიმპატიებით ამა თუ იმ ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწისადმი. ასეთი ბრალდება მას ყოვლად უსაფუძვლოდ მიაჩნია და ამბობს, საფრანგეთი იმ თავიდან ამ თავამდე ანგარიშს უწევს საბერძნეთის მთავრობის კოლექტიურ აზრსა და მის პოზიციას ოთხთა შეთანხმების მიმართო.

საფრანგეთის დიპლომატიურ წრეების უწყებით ამ ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის შეთანხმების სახელმწიფოთაგან ათინაში კოლექტიური ნაბიჯის გადადგმა.

რუსეთის დიპლომატიური წრეები ირწმუნებიან, რომ იტალეთს ჯერ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია საბერძნეთთან მოლაპარაკებაში. ათინაში მყოფი იტალეთის ელჩი ერთჯერაც არ მისულა საბერძნეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში რუსეთის, ინგლისის და საფრანგეთის ელჩებთან ერთადო. რაც შეეხება ბალკანეთის ფრონტს, აქ იტალეთი მორალურ სოლიდარობას არ გასცილდება.

საბერძნეთის განცხადებამ, რომ იგი იარაღს ჰყრიდა სერბიის ჯარს უკეთუ ეს უკანასკნელი საბერძნეთის მიწა-წყალს შეეხიზნებოდა, მოკავშირეთა ბანაკში დიდი გაოცება და აღშფოთება გამოიწვია. საბერძნეთის გადაწყვეტილების წინაამდეგ ენერგიულ ზომების მისაღებად, შეთანხმების დიპლომატიამ, როგორც ამას რუსეთის გაგებულ დიპლომატიურ წრეებში ირ-

წმუნებიან, შეთანხმებული ნაბიჯი გადასდგა ათინაში და საბერძნეთის მთავრობა, თუმცა მეგობრულად, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა. შეთანხმების დიპლომატიამ მოაგონა საბერძნეთის მთავრობას მისი მოვალეობა სერბეთის წინაშე ხელშეკრულობის ძალით და სთხოვდა ხელი აეღო სერბეთის ჯარისთვის იარაღის აყრაზე, ვინაიდგან ასეთი საქციელი აშკარა მტრობა იქნებოდა მოკავშირე სერბეთის მიმართ. საბერძნეთის მთავრობამ ყურად იღო საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის განცხადება, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

იტალიეთი.

რუსეთის გაზეთების ცნობით იტალიეთს უკვე მზად ჰყავს საექსპედიციო კორპუსი გენერალ ამელიოს მთავარსარდლობით, რომელიც ალბანეთში უნდა გაიგზავნოს.

პოლონეთი.

პოლონური ენის გამეფება.

გერმანეთის მთავრობის მიერ ამ რამდენიმე ხნის წინად გახსნილ უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში ლექციებს პოლონურ ენაზე წაიკითხავენ. გამონაკლისს შეადგენს გერმანული და ფრანგული ლიტერატურა, რომელიც წაიკითხება გერმანულსა და ფრანგულ ენაზე.

ბულგარეთი.

გერმანეთი 500 მილ. ფრანკს აძლევს ავანსად ბულგარეთს.

საბერძნეთი.

იტალიეთის ნავთსადგურებში მყოფმა საბერძნეთის გემებმა ბრძანება მიიღეს, საბერძნეთში დასაბრუნებლად

გაფრთხილება და პროტესტები.

ბულგარეთის მთავრობამ განმეორებით განუცხადა თავის პროტესტი საბერძნეთისას იმის თაობაზე, რომ საფრანგეთ-ინგლისის ჯარის გადმოსხმას სალონიკში საბერძნეთის მთავრობა უპროტესტოდ სტოვებს. ბულგარეთის მთავრობა საბერძნეთს აფრთხილებს, შეიძლება ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვეს და საბერძნეთს თვალსაჩინო ზიანიც მოუვიდესო.

ბულგარეთს გადაწყვეტილი აქვს საბერძნეთშივე შესდიოს მოპირდაპირეთა ჯარს და ბრძოლის ველი საბერძნეთის ტერიტორიაზედ დაატრიალოს, უკეთუ ეს სახელმწიფო იარაღს არ აყრის შეხიზნულებსო.

რომ საბერძნეთის ტერიტორია ხელშეუხებელი დარჩეს, ბულგარეთი მოითხოვს ინგლის-საფრანგეთს აღეკვეთოს დესანტის გადმოსხმა.

ავსტრო-გერმანეთის მთავრობებმაც ასეთი პროტესტი და გაფრთხილება მისცეს საბერძნეთს.

მისიები ათინაში.

ათინაში მიემგზავრება საგანგებო მისია ავსტრო-უნგრეთისა. ამ მისიაში შედიან გარეშე საქმეთა მინისტრები ბერტჰოლდი, გოლუხოვსკი და სხვები. ამგვარსავე საგანგებო მისიას გზავნის გერმანეთიც. ამ გარემოებამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა შეთანხმების დიპლომატიაზე, რომელიც შეეცადა შესაფერი ზომები მიიღოს ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევების ასარიდებლად. დიდძალ ესკადრას თავი მოუყარეს მალტის კუნძულთან.

ათინა-სალონიკის რკინის გზა.

საცაა დამთავრდება ლარის-სალონიკის რკინის გზა, რომელიც საბერძნეთს ევროპის რკინის გზასთან შეაერთებს და რომელსაც ეძლევა უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობა. მუშაობა არა-ჩვეულებრივის სისწრაფით მიმდინარეობს. მობილიზაციის გარეშე დასტოვეს ყველა ის მუშა, რომელიც ჯარში გასაწვევი იყო და აქ მუშაობდა. საბერძნეთის მთავრობა გვატყობინებს, ეს დიადი მნიშვნელობის რკინის გზა უფრო მალე დაიწყებს მოქმედებას, ვიდრე ეს ჰგონიათო.

უკანასკნელი ფოსტა

სერბეთში.

სერბეთის დესპანს სპალაიკოვიჩს პაშიჩმა აცნობა: რაშკო-მიტროვიცა-უსკიუბის ხაზზე სერბები უკან იხევენ, მტრის რკალი თანდათან პატარავდება. მდგომარეობა საგონებელში ჩამგდებია. სერბები შავმთასა და ალბანეთისაკენ იწევენ; საბერძნეთისაკენ ჯარი არ დაიწევს. მონასტირთან სერბების რამდენიმე რაზმილაა.

— „ნ. ვ.“ ცნობით გერმანელ-ავსტრიელ-ბულგარელთა ჯარი დიდად სჭარბობს სერბეთისას, რის გამოც სერბები გადამწყვეტ ბრძოლას ერიდებიან. მტერი სისწრაფით მაინც ვერ იწევს წინ: ათ დღეში, 5 გიორგობისთვემდე სამხრეთისაკენ მტერმა მხოლოდ 40 ვერსით წინ წაიწია, დასავლეთისაკენ კი ნიშ-ვრანიეს ხაზზე—20 ვერსით.

— სერბეთის მთავარი ჯარი ბრძოლით უკან იწევს კოპანიკის იქით, ახალ ბაზრის სანჯაკში და ალბანეთისა და შავიმთის საზღვრებს უახლოვდება.

კიტჩენერი საბერძნეთშია

ათინიდან იტყობინებიან: კიტჩენერს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა საბერძნეთის პრემიერთანაო.

რუმინეთის სამზადისი.

ბუქარესტში სამხედრო საბჭო შესდგა. ჰფიქრობენ, ოთხთა კავშირის სასარგებლოდ ამოიღებს ხმასაო.

ინგლისელთა ოპტიმიზმი.

ლონდონში ჟურნალ-გაზეთობა გულგრილად ეკიდება საბერძნეთის საკითხს. მათს გემებს უფლება მიეცათ ზღვაში გასვლისა.

ვარშავის უნივერსიტეტი.

ვარშავაში დიდის ამბით გახსნეს უნივერსიტეტი.

კიტჩენერი მეფე კონსტანტინესთან.

მეფე კონსტანტინემ მიიღო ლორდი კიტჩენერი. საუბარმა საათი და ერთი ჩარექი გასტანა.

ჩარტორისკის დანგრევა.

ამბობენ, გერმანელებმა ჩარტორისკი დაანგრიეს, უკან დახევის დროსაო.

გამოქცეული ებრაელები.

გამოქცეულ ებრაელთა რიცხვი 350 ათასს აღწევს. მათთვის დახმარება აღმოუჩენიათ 6,500,000 მანეთით. აქედან მთავრობას მილიონ ნახევარი მიუცია, პეტროგრადსაც მილიონ-ნახევარი, ხოლო დანარჩენი პროვინციას.

საბერძნეთის ბლოკადა.

ინგლისმა ბლოკადა შემოარტყა საბერძნეთს. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთზე.

ბრძოლის ველზე

რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში გაჭრილ გერმანეთის ჯარს შეტაკება ჰქონია რუსის ჯართან სოფელ პულკარნთან და იძულებული გამხდარა იქით-აქით ოდნავ მიწეულ-მოწეულიყო. ამის მეტი სხვა რამ ფაქტი მოპირდაპირეთა შეხლის რიგის ყურიდან მოკიდებული, ვიდრე მდ. პრიპიატამდე გუშინდელ დეპეშას არა მოუტანია რა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე რაფალოვკა-ჩარტორისკის ფარგალში მოპირდაპირეთ რამდენიმე შეტაკება მოსვლიათ, რასაც არავითარი ცვლილება არ შეუტანია ჯართა საერთო დგომაში.

თითქმის ერთი თვეა რაც გალიციის სამხედრო ოპერაციის შესახებ დეპეშებს არავითარი ცნობა არ გადმოუციათ. ეს დიდი ხნის სიჩუმე რუსეთ-გერმანეთის სამხრეთის წვერის შესახებ მხოლოდ გუშინდელმა დეპეშამ დაარღვია.

ამ დეპეშის აღნიშნული ადგილები აშკარა ჰყოფს, რომ აქ გერმანელებს წინა ორი-სამი კვირის განმავლობაში რამოდენიმეთ წინ წამოუწევიათ. მათ გადმოულახავთ მდ. სტრიპა და დღეს მოწინავე რაზმების შეტაკება ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე ჰხდება. გერმანელთა ერთი ნაწილი იშკუვის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით შებმია რუსებს. მაგრამ უკუ უგდიათ. ს. ხმელევკას დასავლეთით დაწყებული ბრძოლა არ შეწყვეტილა. უფრო სამხრეთით რუსებს დაუჭერიათ ს. იანოვკა, რომელიც ბუჩაჩოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ათი ვერსის სიშორეზე მდებარეობს.

ბალტიის ზღვაში 7 გიორგობისთვეს რუსების ნაღმოსანს ჟინდავის მახლობლად ჩაუძირავთ გერმანელთა მოდარაჯე ხომალდი. ტყვედ წამოუყვანიათ ერთი ოფიცერი და 19 მეზღვაური.

კავკასიის ბრძოლის პირზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მეგრი.

ხვალიდან ჩვენს გაზეთში დავიწყებთ ფელეტონებად ბეჭდვას გურკოს ლექციისას „ქალის კულტი საქართველოში“.

ახალი ამბავი

✦ **თათბირი სასახლეში.** გუშინ დილის 11 სათზე სასახლეში მეფის მოადგილის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი საცხოვრებელ ბინებისა და პირველ მოთხოვნილებათა სიძვირესთან საბრძოლველ ღონისძიებათა გამოსაძებნად. თათბირს დაესწრნენ 124 წარმომადგენელი კავკასიის სხვა და სხვა ადგილისა. წარმომადგენელთ მეფის ნაცვალმა სიტყვით მიმართა, რომელშიც დაუხატა მთავარი საკითხნი თათბირისა და უმთავრესად შეეხო სატრანსპორტო საკითხს და ბრძოლას ბოროტ მექრთამეობასთან. შემდეგ მეფის ნაცვლის თანაშემწემ გოფმეისტერმა პეტერსონმა წარუდგინა მეფის ნაცვალს ყველა წარმომადგენელნი, რომელნიც მიწვეულ იქმნენ საუზმეზე. საუზმის წინ წარმომადგენელნი გეეცნენ მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულს. საუზმეზე დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძეც დაესწრო. საუზმის შემდეგ დაიწყო თათბირი. მოხსენებანი წაიკითხეს ბაქოს წარმომადგენელმა ქრ. ა. ვერმიშევმა საზოგადო ორგანიზაციების მოწვევის თაობაზე კავკავიდან ქალაქის თავმა ბ-ნმა ბაევმა—საზოგადო ზომების მიღების თაობაზე, სტრეპიცკიმ—ტრანსპორტზე და ქალაქის გამგეობის წევრმა ჯაბარმა—რკინის გზით გადაზიდვის შესახებ. შემდეგ ამისა კრება სამ სექციათ დაიყო: ბინების, სანოვაგისა და სატრანსპორტო საკითხთა დასამუშავებლად. ამით კრება დაიხურა, იმავ დღის საღამოს 8½ საათამდე. მუშაობა თათბირისა იწარმოებს დილის 10—2 საათამდე და საღამოს 8½—11 საათამდე.

✦ **ჰოლა ლომთათიძის** გარდაცვალების გამო დეპუტატი აკაკი ჩხენკელი პეტროგრადიდან სარატოვს წასულა. როგორც ჰფიქრობენ, იგი განსვენებულის ნეშთს გამოაცილებს თბილისამდე. ნავთლუღში განმანაწილებელ ლაზარეთის მოსამსახურეთ თავიანთ შორის შეუგროვებიათ 54 მან. 50 კაპ. ფონდის დასაარსებლად, რომლითაც უნდა გამოიცეს ჰოლას ნაწერები. ხუთშაბათს და კვირას (12 და 15 ამა თვეს) პანაშვიდები იქნება გადახდილი ქვაშვეთის ეკლესიაში.

✦ **დეპუტატ კარლო ჩხეიძეს** გადასახლებულ ხუთ სოც.-დემ. დეპუტატის ოჯახობამ მიჰმართა, დასჯილ დეპუტატებს გამოუთხოვე დღიური სახარჯოს მიღებაო. ჩხეიძე ამის თაობაზე სათათბიროს მდივანს დმიტრიუკოვს მოელაპარაკა. იგი დაჰპირდა სათათბიროს სხდომას მოვახსენებო. თუმცა, დასჯილ დეპუტატებს, არ უნდა მოსპობოდათ დღიურ სახარჯოს ძლევაო.

✦ რუსულ სატახტო გაზეთებში მოთავსებულია წერილები მეორე სახ. სათათბიროს ნადეპუტატარ **ლომთათიძის** გარდაცვალების გამო.

✦ **დაახლოვებითი ცნობები საკვებისა და სათესლეს შესახებ.** საქველმოქმედო საზოგადოებამ 350 საანკეტო ფურცელი დაუგზავნა სხვა და სხვა წვრილ საკრედიტო დაწესებულებას მთელ საქართველოში, პასუხი მიიღო 74 ფურცელზე. მიღებული ცნობების თანახმად, საჭირო არის: სათესლე სიმინდი 121.450 ფუთი, სათესლე ხორბალი 125.600 ფუთი, საკვები სიმინდი 1.270.600 ფუთი, საკვები პური 630.550 ფუთი.

✦ **თეთრ-ბილეთიანები** ვინც კი 14 წლის განმავლობაში თეთრბილეთიანებში მოჰხვდა ე. ი. 1903 წლიდან, ხელმეორედ შეამოწმებენ. ჯერ შეამოწმებენ მახლობელ 7 წლისას, ამათში ჩათვლილია 1907—1910 წლებისა. მათი შემოწმება მომავალ ქრისტეშობისთვეში მოხდება. ვისაც კი გამოსადეგად სცნობენ, დაუყოვნებლივ ჩარიცხავენ ჯარში. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს საზოგადო წესისამებრ ვადას გადაუდებენ.

✦ **ლურჯ-ბილეთიანები** 1909—1907 წლისა. ლურჯ-ბილეთიანებს 1907, 1908 და 1910 წლებისას მომავალ ქრისტეშობისთვეში გაიყვანენ. არავითარი შეღავათი არც ოჯახური და არც ქონებრივი არ მიეცემათ. უმაღლეს და საშუალო სასწავლ. მოსწავლეებს საზოგადო წესით ვადას გაუგრძელებენ.

✦ **1918 წ. ჯარში გასაწვევნი.** საბოლოოდ გადასწყდა, რომ 1896 წელში დაბადებულთ გაიწვევენ მომავალ ქრისტეშობისთვის დამლევს.

✦ **სახივარი.** ქალაქის გამგეობა უჩივის ხარფუხის ქართულ დრამატიულ წრეს პირობის დარღვევისათვის. 11,000 მანეთამდე. წრეს დაქირავებული ჰქონდა ქალაქისაგინ შიოევისეული მამული და ქალაქის გამგეობა ამტკიცებს, წრემ პირობა დაგვირღვიაო. თავისი მხრივ წრემ სამაგიერო სახივარი შეიტანა ქალაქის გამგეობაზე და ამ უკანასკნელს უჩივის პირობის დარღვევას და ზარალს. ორივე საქმე დღეს ირჩევა ოლქის სასამართლოში. წრის მხრივ დამცველად გამოდის ნაფიცი ვექილი ბ-ნი მეგებოვსკი.

✦ **თავდასხმა.** 9 გიორგობ., საღამოს 8 საათი იქნებოდა როცა წმ. ნინოს სასაფლაოს მღვდელს მ. გიორგი გამრეკელს სახლში ესტუმრა სამი უცნობი პირი, ერთი სალდათის ფორმით და ორი ევროპიულ ტანისამოსით და სთხოვეს ჯვარის წერა. ვინაიდან კანონიერი საბუთები არ ჰქონდა მ. გამრეკელმა უარი განუცხადა, მაშინ ერთმა მათგანმა ამოიღო რევოლვერი და ფული მოსთხოვა მღვდელს. მ. გამრეკელმა სტაცა ხელში და მორთო ყვირილი. ყვირილზე უცნობ ბოროტ-გამზრახველებმა მოკურცხლეს ღამის წყვდიადითა და სასაფლაოს სიყრუით ისარგებლეს და თავს უშველეს.

✦ **იაფ ფასიანი ხორცი.** ვანქის ქუჩაზე ბ-ნი ბელნიცმანი ჰყიდის მოხარშულ ხორცს გირვანქას 8 კაპეიკად. ხორცი მუდამ ახალია და იგი იხარშება ქალაქის სასაკლაოზე ბეითლების მეთვალყურეობით. ხორცი მიაქვთ სასაკლაოდან საღამოს 7—8 საათზე, ეს ის ხორცია, რომლის მუდამ გატანა სასაკლაოდან სანიტარული თვალსაზრისით აკრძალულია ბეითლების მიერ და ამიტომ იქვე ახარშვინებენ.

✦ **მოძრავი სანიტარული რაზმები** ქალაქთა კავშირის ბათომის კომიტეტს აზრად აქვს შეადგინოს 6 მოძრავი სანიტარული რაზმი, რომლებიც ბათომის ოლქში ივლიან და ადგილობრივ სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენენ ავადმყოფთ. რაზმებს ეყოლებათ ორცხენიანი საკაცეები, რომლითაც მძიმე ავადმყოფთ ლაზარეთებში გაგზავნიან. ამ რაზმების შედგენა დაჯდება 16,000 მანეთი, ხოლო მათი შენახვა თვიურად 5,000 მანეთი.

✦ **სიმინდი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას აზრად აქვს. გემი შეაძენინოს ფოთს, ოჩემჩირეს და ანაკლიას, რათა საჭირო სიმინდი შავი ზღვით იქმნას მოზიდული სამეგრელო-გურიისათვის.

✦ **პეტროგრადში** დახერხილი შაქარი ღირს გირვანქა 23 კაპ. დამტვრეული 22 კაპ. ფხვნილი 20 კაპ.

✦ **შაქრის გარშემო.** შაქრის გაცატან-გადმოტანისათვის რიგს გარეშე იყო დანიშნული ვაგონები 1 გიორგობისთვემდე. გზათა მინისტრმა ეს ვადა 1 ქრისტეშობისთვემდე გააგრძელა.

✦ **სახლის პატრონის დაჯარიმება.** „დენი“-ს ცნობით მოსკოვში ორი სახლის პატრონი დაუჯარიმებიათ ას-ასი თუმნით, რადგანაც თავისი გუნებით სახლის ქირა წაუმატებიათ. ნუ თუ ასეთი კანონი თბილისისათვის კი არა არსებობს, სადაც მდგმურებს ასე უღმერთოთ ატყავებენ სახლის პატრონები.

ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულებიდან.

ასე მოსთქვამდა და კვნესოდა მთელი ერი კიდით-კიდემდე, მღვდელი, ბერი, წარჩინებული, თავადი თუ გლეხი, მეფე და სხვანი. ყველანი ერთნაირად განიცდიდნენ ოსმალეთის ბრჭყალებს და რუსეთს შეჰღაღადებდნენ ხმა მაღლივ და შველა-დახმარებას სთხოვდნენ ბაბრის (ოსმალეთის) ჭანგებისაგან. აუტანელი იყო ოსმალეთის უღელი, გაცოფებული ოსმალო მთელს ბრალს კავკასიაში რუსების ჩამოთესლებისას ქართველებს ახვევდა თავზედ და მის გასრესას და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, რათა ერთხელ და საუკუნოდ ენანებინა ქართველებისათვის რუსეთისაკენ გადადგმული ნაბიჯი და ისე ენანებინა რომ კვლავ ამის მსგავსი აღარაფერი გაებედნა.

არა სასიამოვნოდ დარჩა რუსეთს ოსმალების გაბატონება საქართველოში, მრისხანებდა პეტრე დიდი რომ ქართველებმა არ მოისურვეს მათი შემოსევის შეჩერება და არ მოუცადეს მის ხელმერედ გამოლაშქრებას კავკასიისკენ და თვითვე უომრად შემოუშვეს ოსმალები საქართველოში. მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი. ვახტანგის დაჟინებითი თხოვნაზედ, პეტრე დიდი ატყობინებს, რომ ბრძანებაა გაცემული საქირთველოში ჯარების გამოსაგზავნადო და თან დარიგებას აძლევს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და მოიხმაროს ჯარები ვახტანგმა. ამავე დროს გენერალ-ლეიტენანტს მატიუშინსკის ებრძანა მეფე ვახტანგის დასახმარებლად საქართველოში ორი პოლკის გაგზავნა, პრეობრაჟენის პოლკის კაპიტნის ბასკაკოვის წინამძღოლობით, რომელსაც განსაკუთრებული ინსტრუქციები ეძლეოდა საქართველოში სამხედრო მოქმედებაზედ. შვიდს გიორგობისთვეს კიდევ იმავე 1739 წელს ახალი განკარგულება იყო, რომლითაც ყოველი საჭირო სურსათი და ტყვია-წამალი უნდა გაეტანებინათ საქართველოსკენ გამგზავრებულს ჯარებისათვის.*)

ხარობდა და ცას ეწეოდა მეფე ვახტანგი. ხელდახელ კაცს უგზავნის გენერალ მატიუშკინს და სთხოვს შეატყობინოს თუ რომელის გზით წამოვა რუსეთის ჯარი, რათა გზაში მიეგებოს და ყოველივე დახმარება გაუწიოს. მაგრამ ნაადრევი იყო ვახტანგის სიხარული. საქართველოსკენ გამომგზავრებული და უკვე თერგს მოახლოვებული ბასკაკოვი შუა გზიდან ჯარებით უკანვე გაბრუნეს და იმ ჟამად არც ერთი რუსის ჯარის კაცი არ უნახავს საქართველოს. თვით ბასკაკოვს კი, საქართველოში გამომგზავრებული ჯარების წინამძღოლს, 29 მარტს 1724 წელს უკვე სხვა საქმეზედ ვხედავთ შუაგულ რუსეთში.

რა იყო ამის მიზეზი, რატომ განკარგულება არ იქმნა სისრულეში მოყვანილი?. რატომ არ მოვიდა საქართველოში თავისის ლაშქრით კაპიტანი ბასკაკოვი?

ზევით უკვე მოვიხსენიევით, რომ კავკასიაში რუსეთის გალაშქრებით მთელი ოსმალეთი შეინძრა, ახმაურდა და განგაში მორთო. მოვიხსენიევით რომ დიდი ვეზირი ერევნისა და სრულიად ადერბეჯანის დასაპყრობლად გაემგზავრა, ხოლო აზრუმის ფაშა საქართველოს დასამორჩილებლად. ოსმალეთის ჯარმა უკვე მთელი სომხეთი, ერივანი და მრავალი სხვა ადგილები დაიპყრო. ოსმალეთი ამასთანავე ოფიციალურად ომს არ უცხადებდა, მაგრამ ჯარები კი თანდათან წინ მიიწევდნენ და სომხეთის დაპყრობით უკვე დაუთბეგის სამფლობელომდის, რომელიც მის ქვეშევრდომად ითვლებოდა, მიუახლოვდა და ამ რიგად თვით რუსეთის სამფლობელოს დაღესტანში გაუთანასწორდა.

ვიდრე ოსმალეთის ჯარები ამ მოქმედებაში იყვნენ, სტამბოლში უკვე გაცხარებული დიპლომატიური მოლაპარაკება სწარმოებდა რუსეთსა და ოსალეთს შორის სპარსეთში მოქმედების გამო, რაიცა ჩაბარებული ჰქონდა რუსეთის წარმომადგენელს ნეპლიუევს. პორტა უცხადებდა, რომ პეტრე დიდმა უკვე მიიღო დაკმაყოფილებაო, აუარებელი ლაშქრით გადალახა დაღესტანი, აიღო და დაიმორჩილა იქაურობაო. დაუთბეგმა დაიპყრო მთელი შირვანი, არდებილი, სომხეთი და ჩვენ ქვეშევრდომათ მივიღეთო, აგრეთვე მივიღეთ ქვეშევრდომათ მირ-ვეისი, რომელმაც ისპაჰანი დაიპყროვო. მართალია წინედ შევპირდით რუსეთს არ მიგვეღო ჩვენს ქვეშევრდომობაში დაღესტანი, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც ჯერ არავის ეთხოვნა დაღესტნიდამ ქვეშევრდომობა, ეხლა კი როცა გვთხოვენ და გვეხვეწებიან, არ შეგვიძლიან ერთმორწმუნეობისა გამო არ მივიღოთ დაუთბეგი თავისის სამფლობელოთი და მირ-მაჰმუდი. უკეთუ რუსეთი მიმავალს გაზაფხულზედ ხელახლავ გამოილაშქრებს დაღესტნისაკენ, მაშინ ყველა ჩამოთვლილნი შემოგვიერთდებიან და იძულებული ვიქნებით იარაღი ავისხათ რუსეთის პასუხის გასაცემად და ჩვენი ერთმორწმუნენი დავიცვათ დაღესტანშიო. პორტა იმ კადნიერებამდისაც კი მივიდა, რომ პირდაპირ აცხადებს, თუ რუსეთს რამე საქმე აქვს დაღესტნის ლეკებთან და მირ-მაჰმუდთან, მაშინ ოსმალეთთან უნდა გამართოს ამის შესახებ მოლაპარაკებაო, რადგანაც თვით სპარსეთიც ეხლა ოსმალეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებაო და ამის გამო რუსეთი მოვალეა ჯარები გაიყვანოს სპარსეთის მიწა-წყლიდანაო. თუ რუსეთი სპარსეთიდან ჯარებს არ გაიყვანს, ოსმალეთი იძულებული იქნება რუსეთს ომი გამოუცხადოსო.

მაგრამ ამ ლათაიებით პეტრე დიდის შეშინება აგრე ადვილი არ იყო, მით უმეტეს, რომ პეტრე დიდი კასპიის ზღვის სანაპიროებს სთვლიდა ბალტიის ზღვის ბუნებრივ გაგრძელებად და დამატებათ. ამიტომ იმან მკვახედ შეუთვალა ნეპლიუევს: „ჩვენი არსებითი ინტერესები და საჭიროება მოითხოვს, რომ კასპიის სანაპიროებში არავის, თვინიერ რუსეთისა, ფეხი არ შევადგმევინოთ და არ გავაწაწანოთ, რაიცა შეეხება დარუბანდსა და სხვა ადგილებს სადაც ჩვენი ჯარებია ჩამდგარი, ისინი თავისის ნებაყოფლობით შემოვიდნენ ჩვენს ქვეშევრდომობაში და რუსეთი იქიდან ფეხს არ მოიცვლისო. თუ ოსმალეთს სურს მშვიდობიანობის დარღვევა, რუსეთიც არ დაუვარდება, და საკმარისი ძალა და საშუალება მოეძებნის ჯეროვანი პასუხი გასცეს ოსმალეთსაო. ამასთანავე ერთად რუსეთმა, რათა თავის სიტყვისთვის ძალა მიეცა ჯარები გაგზავნა ბაქოსკენ.

ასეთს კონფერენციაზედ სტამბოლში გადასწყდა, რომ ორთავე სახელმწიფოს შეეყენებინათ ჯერ-ჯერობით სამხედრო მოქმედება სპარსეთის საზღვრებში, რისთვისაც საჭირო განკარგულებანი გაუგზავნეს ორთავე მხარის სარდლებს. მაგრამ მოკლე ხანში მოვიდა ცნობა სტამბოლში რუს-სპარსთა ახალს ხელშეკრულობის შესახებ, რამაც ხელახლივ გაამწვავა საქმე, რომელიც მშვიდ მიმართულებას იღებდა. ოსმალეთმა შეატყობინა ნეპლიუევს, რომ პორტა ომს გიცხადებთო, მაგრამ საქმეში ჩაერია საფრანგეთის ელჩი და საქმე მორიგებით გათავდა, რომლის დახმარებითაც ორივე სახელმწიფომ განსაზღვრა თავისი მოქმედებისა და დამკვიდრების ასპარეზი სპარსეთის მიწა-წყალზე და განსაკუთრებული ხელშეკრულობა დაიდო მათ შორის 12 ივნისს 1724 წელს.

ჩვენ არ შეუდგებით ამ ხელშეკრულობის მუხლების დაწვრილებით ჩამოთვლას, ჩვენთვის ეს არც საჭიროა და არც რამე შუქს მოჰფენს ჩვენის წერილის შინაარს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ხელშეკრულობით საშინლად შეურაცხყოფილი იყო საქართველო და მისი უფლებანი. ხელშეკრულობა ასე ანაწილებდა სპარსეთის მიწა-წყალს რუსეთსა და ოსმალეთს შორის: დაღესტანი დარუბანდიდან დაწყებული შემახის ცოტა იქით ზღვისაკენ და აქედგან კი არაქს-მტკვრის შესართავამდის რუსეთსა ჰხვდა ე. ი. მთელი კასპიის ზღვის სანაპიროები, რასაც ითხოვდა თვით რუსეთი. ამ საზღვრების დასავლეთით კი ე. ი. დარუბანდ-შემახის აქეთ ოსმალეთის სამფლობელოდ იქმნა გამოცხადებული, რომლის ფარგალშიაც, ამრიგად, მოჰყვა საქართველოც. აი როგორ იყო ნათქვამი თვით ხელშეკრულობაში: „მთელი სამეფო გეორგია—საქართველო, რჩება ბრწყინვალე ოსმალეთის უფლების ქვეშე და უფლება აქვს სადაც მოისურვებს ჩააყენოს თავისი ჯარები და მეციხოვნენი. თუ საჭიროებამ მოითხოვა დიდძალის ჯარების გაგზავნა საქართველოსაკენ შინაურ ამბოხებათა და სხვათა უწესობათა ჩასაქრობად, მაშინ ოსმალეთი მოვალეა შეატყობინოს რუსეთის მოსაზღვრე ჯარის უფროსებს და ისე გაატაროს მდინარე მტკვარზე ჯარები“ *).

ეხლა ნათელი ხდება, თუ რად გამოაბრუნეს რუსეთის მხედრობა საქართველოსაკენ გაგზავნილი შუა, გზიდან ბასკაკოვის წინამძღოლობით და რად არ აუსრულეს დაპირებული მეფე ვახტანგს.

სპარსეთშიაც სასურველად მოაგვარა რუსეთმა თავისი საქმეები. ზევით მოვიხსენიეთ, რომ რუსეთმა ტოლსტოის პირით დაავალა მეფე ვახტანგს სპარსეთთან მოლაპარაკება კასპიის სანაპიროების დათმობაზე, რისთვისაც ჯარებით დახმარებას აღუთქვამდა მირ-მაჰმუდის წინააღმდეგ რუსეთი სპარსეთს. ვახტანგს არ დასცალდა ამ საქმის მოგვარება. მაგრამ რაც ვახტანგმა ვერ შესძლო და ვერ მოასწრო, ის შეასრულა რუსეთის გამოქნილმა დიპლომატმა, სპარსეთის კარად გაგზავნილმა, აბრამოვმა. იმან ბრწყინვალედ დაასრულა რუსეთის მინდობილობა და დიდძალი ადგილ-მამული შესძინა მან რუსეთს. 12 ენკენისთვეს 1823 წელს შაჰაბაზის წარმომადგენელმა იზმაილ-ბეგმა და რუსეთმა, პეტერბურგში ახალი ხელშეკრულობა დასდეს, რომლის ძალითაც სპარსეთი სამუდამოდ უთმობდა რუსეთს დარუბანდიდან დაწყებული კასპიის სანაპიროებს გულანითა, მაზარდარითა და ასტარითა. ეს ის ხელშეკრულობა იყო, რომელმაც საშინლად გააცოფა ოსმალო და კინაღამ იარაღით ხელში არ ეცა რუსეთს, რომლის შესახებაც უკვე ზევითა გვქონდა ლაპარაკი.

აი ასე ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვიდა რუსეთი კავკასიის ისტორიიდან. თოფ-გაუსროლელად და ტყვია-წამალ დაუხარჯავად თვალ უწვდენელი მიწა-წყალი ჩაიგდო ხელში. კასპიის ზღვის ის სანაპიროები, რომლებზედაც ამდენ ხანს ოცნებობდა პეტრე დიდი ასე ადვილად დაისაკუთრა. მიზანი მიხწეული იყო, საქმე სანაქებოდ დამთავრებული.

საქართველო? საქართველო, რომელიც პეტრე დიდის გამოლაშქრებას ასე აღფრთოვანებული შეეგება და მტკიცე იმედი ჰქონდა, რომ ძლევამოსილის რუსეთის შემწეობით ძველს დაკარგულს დიდებას, სამეფოს თუ ვერ აღადგენდა, მუსულმანთა ბრჭყალებიდგან მაინც გამოიხსნებოდა სამუდამოდ და დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, კვლავად ოსმალთა ხელში მოჰყვა და მათი უღელი დაედგა. ყველაზედ უფრო სამწუხარო და სავალალო ის იყო ამ გადაწყვეტილებაში, რომ რუსეთმა, რომლისგანაც მოელოდა ხსნასა და შველას ვახტანგი, თავისის ხელის მოწერით დაადასტურა ეს საბედისწერო გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ.

(შემდეგი იქნება)

ზ. ედილი.

---

*) Бутковъ, I ტომი, გვ. 52.

*) Аваковъ, Присоед. грузiи къ Россiи, გვ. 69.

✦ **გადმოხვეწილნი.** ჯულფიდან ნობა მოვიდა, სპარსეთიდან სომეხთა 50 ობოლი ბავშვი მოჰყავთ თბილისი და ბინა და ტანსაცმელი დაუმდეთო.

✦ **დეპუტატი პაპაჯანოვი** წამოლა პეტროგრადიდან ამიერ-კავკააში გადმოხვეწილთა დასახმარებად.

✦ **ფქვილი.** ფოთსა და ბათომში მით ფქვილი შემოსულა. თბილისის მგეობას ნაწილი ამ ფქვილისა შეუნია და საგანგებო მატარებლით მოის თბილისში. 23 ვაგონს გუშინ მოისტუმრებდნენ ფოთიდან.

✦ **სურსათი.** 8 გიორგობისთვეს ინის გზით შემოიტანეს თბილისში: ქვილი 4 ვაგ., ქერი ერთი ვაგ., მალი 2 ვ., ხილი 2 ვაგ., ღვინო 1 გ., ბზე 2 ვაგ., კომბოსტო 154 ფუ, კვერცხები 121 ფუთი, ახალი თე 210 ფუთი.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომრის „უკანასკნელ სტის“ პირველ ამბებში დაბეჭდია: ვარნა დაცლილია. უნდა იყოს ნიე დაცლილია.

ქალაქის საბჭო

9 გიორგობისთვეს კრება მოხდა ა. **ხატისოვის** თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. კავკასიის მთავარმა იტეტმა გადასცა ქალაქის კომის ჯარისკაცთა ოჯახებისათვის 000 მან., წინად შემონაწირი 000 მანეთით შეადგენს 30.000 ეთსო.

თავმჯდომარემ ვრცელი განმარტეწარუდგინა კრებას **სასურსათო სახის შესახებ.** ამ მოხსენების შინსი არის შემდეგი:

აბჭოს წინანდელი დადგენილება, ქალაქმა 3 მილიონი მანეთი ისეს 6 პროცენტის კვალობაზე სასურთო საწყობების გასახსნელად, გამობამ უკვე წარუდგინა მიწათმოქმედბის მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ შკოვსკის, რომელიც თავის მხრივ როგრადში გაგზავნის ამ შუამდგომობას. ამ სესხის გარდა, როგორც ა თვეს შაშკოვსკისთან შემდგარ ბირზე გამოირკვა, ქალაქს სხვა როც აქვს სურსათის მოსაპოებლად:

შაშკოვსკის უფლება ჰქოა მთავარ სასურსათო საბჭოს პეტგრადში აცნობოს, რომ ქალაქს სათისათვის ფული სჭირდებაო. ავარი საბჭო, ბ-ნ შაშკოვსკის შუამდგომლობას თუ შეიწყნარებს, გადასბს საჭირო თანხას სურსათის შესაად და ამ თანხის სარგებელს არ დაახდევინებს ქალაქს. გადადებულ ლით ბ-ნი შაშკოვსკი, თავისის აგენბის დახმარებით სურსათს იყიდის, ილისის რკინის გზის სადგურამდე იანს და აქ კი ქალაქმა უნდა ჩაის მოტანილი სურსათი. საქონელი ა გაიყიდება, ანუ კიდევ ადრე, ქმა ხელახლა უნდა შეუკვეთოს ს რწმუნებულს საჭირო საქონელი. ულ საქონელში აღებული ფული ათან უბრუნდება ბ-ნ რწმუნებულს, ხოლო უკანასკნელად ანგარიში გაასწოროს ქალაქმა ომის გათაის დღიდან 6 თვის შემდეგ.

ხმ. ა. ხ. ბაბოვი ქალაქმა ორივე ით უნდა ისარგებლოს; მაგრამ თვის საჭირო საქმიანობას გამბას ვერ ვამცნევ. საჭიროა, ეხლამად იყვეს საწყობები ზედმეტ სათის შესანახად გაჭირვების დღის, რათა ისეთი შემთხვევა აღარ ორდეს, რომელსაც ადგილი ჰქონრამდენიმე დღის წინად.

მგ. წევრი **მ. ა. ჯაბარი** სავსებით კვეული არ არის და არც ბ-ნ ვსკის უთქვამს გადაჭრით, რომ ობა უპროცენტოდ გადასდებს თვის თანხას სურსათის შესაძენად; შაშკოვსკი მხოლოდ ფიქრობს, ს ასე იქნებაო და თავის მოსაბას იმაზე ამყარებს, რომ საერთო ვების დროს მთავრობა ხელს ავს ხალხს საზრდოს მოსაპოვებ. მაგრამ, მთავრობამ კიდევაც რომ პროცენტი, ამან არ უნდა შენოს; სამაგიეროდ სურსათის მოის მხრივ უზრუნველყოფილი ვით, რადგან შაშკოვსკი ისეთი ებებით არის აღჭურვილი, რომ იან გუბერნატორებისა, ქალაქევითმართველობათა და სხვა დაულებათა განკარგულებანი შე, სახალხო მატარებლის ადგიაქონლის მატარებლები გაუშვას ხმ. ბაბოვის პასუხად ჯაბარმა ადა: საშიშროება არაა მოგველის დგან საგანგებო მატარებლით ლით 70 ვაგონ ფქვილს, ხოლო ი ფქვილიც გვაქვს ნაყიდი, რომ დაუბრკოლებლად გამოებოდეს, 1 თვის განმავლობაში ველ ყოფილი ვიქნებითო.

ხმ. ბაბოვი გაკვირვებული კითხულობს, ბ-ნ შაშკოვსკის თუ მართლა ყველაფერი შეუძლიან, რატომ არა სთხოვთ, რომ თქვენი ნაყიდი საქონელი ეხლავე ჩამოატანინოსო?! ეტყობა, საქმე სხვანაირად უნდა იყოს და არა ისე, როგორც თქვენ ამბობთო.

ა. ი. ხატისოვს ძალიან აკვირვებს ბ-ნი ბაბოვის დაყენება საწყობის შესახებ. რა უნდა შევინახოთ საწყობში,—შესანახი კი არა, ყოველდღიური საზრდოც არ მოგვეპოვებაო დღეში, 16 ვაგონი ფქვილია თბილისისათვის საჭირო, მოდის კი ერთიმეორეზე დღეში 10—12 ვაგონი. იმ 70 ვაგონი ფქვილიდან, რომელსაც გამგეობა მოელის, თბილისს 12 ვაგონიც არ დარჩება, რადგან სამი მაზრიდან დეპეშა-დეპეშაზე მოდის, რითაც გვატყობინებენ, რომ 2 დღის საზრდო არ მოგვეპოვება და საჩქაროდ მოგვაწოდეთ ფქვილიო. ჯალ-ოლსა და ახალ ბაიაზეთში შიმშილს განიცდიან არა მარტო გადმოხვეწილნი, არამედ ადგილობრივი გლეხები და თვით ლაზარეთებიც; გორში 10 ვაგონი ფქვილი უთუოდ უნდა გაიგზავნოს და სხ. რაც შეეხება ნაყიდ საქონლის გამოგზავნის დაჩქარებას, ამის შესახებ თვით ორატორსაც ეჭვი ეპარება: მეფის ნაცვლის კანცელარიასო,—განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა,— 60 ვაგონი ფქვილი შეუკვეთნია ნიკოლენკოს წისქვილისათვის, მაგრამ ვაგონებს არ აძლევენ და ფქვილი ჯერ არ დაძრულა ადგილიდანო.

ხმ. სულხანოვი. რაც მეტი მყიდველი მიადგება მეფქვილეებს, ფქვილი მით უფრო გაძვირდება, და რაც უფრო მეტი მოთხოვნილება იქნება ვაგონებისა სხვა და სხვა პირთაგან, უფრო აირევა და დაგვიანდება ფქვილის გამოგზავნის საქმე. ორატორს საიმედოთ არ მიაჩნია მცხოვრებთა უზრუნველყოფა საკვების მხრივ, თუ შაშკოვსკის დაპირებას დაემყარება ქალაქი. აგრეთვე ორატორს ისიც აკვირვებს, რომ რატომ ეხლავე არ ღებულობს ბ-ნი შაშკოვსკი ღონისძიებას საკვების გადმოსაზიდად, როცა თითო წუთი ძვირფასია და საქმის დაგვიანებას შეუძლიან დიდ განსაცდელში ჩააყენოს ხალხი.

ხმ. ვაჩნაძე. მცხოვრებთა გამოსაკვებად თითონ საბჭომ უნდა იზრუნოს და ამისათვის დააჩქაროს სესხის აღება. რაც შეეხება მიწათ-მოქმედების სამინისტროს მხრივ დახმარებას, ამაზედაც არ უნდა ვთქვათ უარი, მაგრამ მარტო ამაზედ დამყარება სახიფათოა. ასეთი დახმარება თუ მართლა იქნება მთავრობის მხრივ, მით უფრო კარგი, თუ არ იქნება, ამითაც სავსებით არ უნდა გაფუჭდეს საქმე, ქალაქს თვითვე უნდა ჰქონდეს თავისი თადარიგი.

თავმჯდომარემ აღუთქვა კრებას, რომ აქ გამოთქმულ აზრს ვიქონიებ მხედველობაში და ყოველივე ღონეს ვიხმარ, რათა საქმე სასურველად მოეწყოსო.

ხმ. ბაბოვის მოხსენება თბილისში 6 უსასყიდლო სახაიეს გამართვის შესახებ ღარიბთათვის, საბჭომ არ შეიწყნარა. აგრეთვე საბჭომ უარჰყო კლუბებისა და რესტორანების შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ სატრაქტირო გადასახადი შეამცირეთო.

შეწყნარებულ იქნა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ზედმეტი 20.000 მანეთი გადაიდოს პოლიციის მოხელეთათვის ბინის ქირისა, გათბობისა და განათებისათვის.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ. რომ ქალაქის რომელიმე მოსამსახურე მოხალისედ თუ წასულა, ანუ წავა ჯარში, ჯამაგირის ძლევა ნუ მოესპობა და ადგილი შეენახოსო.

ოსმალეთის ჯარი და მისი განაწილება

დღეს ოსმალეთში ბრძოლის ველზე დაახლოვებით 700,000 შეიარაღებული ჯარისკაცია გაყვანილი. ეს ჯარი შვიდ არმიად არის დაყოფილი. ყველაზედ უფრო ძლიერია ის ჯგუფი, რომელიც ანატოლიასა და თრაკიაში სდგას და იცავს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებსა და სტამბოლის სრუტეთ. ეს ჯგუფი შესდგება პირველი, მეორე და მეხუთე არმიისაგან და შეიცავს 300,000 ჯარისკაცს. იგი იბრძვის ინგლის-საფრანგეთ დესანტის წინააღმდეგ, გალიპოლის კუნძულზე. პირველ არმიას სარდლობს ფონ-დერ-ჰოლც-ფაშა, მეორეს—ვეხიბ-ფაშა და მეხუთეს—ფონ-სანდერსი. ხმებია, პირველი არმიიდან პერტიფ-ფაშის კორპუსი ბულგარეთში გაიგზავნა ეგეის ზღვის ბულგარეთის სანაპიროების დასაცავად და საგარნიზონო სამსახურის გასაწევად ვარნასა და ბურგასში.

მესამე არმია გაჭიმულა კავკასიის ბრძოლის პირზე, დაწყებული შავი ზღვიდან ურმიის ტბის სამხრეთ სანაპიროებამდე სპარსეთში. ამ არმიის რიცხვი არ აღემატება 150,000 მეომარს. და მოქმედებს მაჰმუდ ქიამილ ფაშას ბელადობით. შეუძლებელია კორპუსებად დაყოფვა ამ არმიისა, იგი დაქსაქსულია. მისი პოლკები მოქმედებენ ქურთებთან ერთად. ამ ჯარის ბაზად ითვლება აზრუმი.



დანარჩენი 250,000 ჯარისკაცი განაწილებულია სამ არმიად, რომელთაგან ერთი მესოპოტამიაში მოქმედებს მეორე—არაბეთში და მესამე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამათგან ყველაზედ მომქმედი ხმელთაშუა ზღვისა, რომელსაც მინდობილი აქვს სირიისა და პალესტინის დაცვა და რომელიც მუდმივ მუქარას წარმოადგენს სუეცის არხისთვის. ეს არმია ოსმალებმა შეასუსტეს, რადგანაც ამ ადგილებში ფრანგ-ინგლისელთა დესანტი მოსალოდნელი არ არის და რადგან თითონაც ხელი აიღეს ეგვიპტეში წასვლაზე. მისი ერთი ნაწილი სირიის რაიონშია გადაყვანილი სადაც ჯემალ ფაშის ხელმძღვანელობით მოქმედებს.

მესოპოტამიის ჯარი მდ. ტიგრისა და მდ. ეფრატის მიმდინარეობის შუა ადგილებში. ამ არმიის ბაზად ითვლება ბაღდადი. იგი იცავს ბაღდადის რკინის გზის სათავეს.

არაბეთის არმია-კი, რიცხვით მეშვიდე, პატარა-პატარა რაზმებად დანაწილებულია მეწამულ ზღვის პირას, ასირის და იემენის ოლქების დასაცავად.

სოფლის ჭირ-ვარამი

წერილი მეხუთე

გლეხის ავი და კარგი მხარე

ადამიანის ღირსების დამამცირებელი სურათია და ვისაც სიმშილი არ უგრძნია, ვისი კუჭიც არ ალაპარაკებულა და მძლავრად საჭმელი არ მოუთხოვნია, და ვინც ჩაფიქრების უნარს მოკლებულია, ამ სურათის ნახვაზე ცხვირს აიწევს და იტყვის: ეს უბრალო სიხარბეა გლეხისა! და ამასთან ასეთი მცირე და უბრალო გარემოება, რომ ლაპარაკიც კი არა ღირს!!

დიახ, უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ... მაგრამ ჩვენ გლეხს კუჭი ვერ გაუძღვია იმ პურით, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა. მიწის მოხვნა-დაფარცხვაში თავის თავი და საქონელი ჩააკლა, დასთესა, მოუარა, მომკა, გალეწა, გაანიავა, გაცხრილა, გააკეთა და სხვა.

უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ მშიერი გლეხი მხოლოდ კუჭზე ჰფიქრობს. ეს ფიქრი ჰფარავს, ჩრდილავს დანარჩენ ფიქრებს, რომელიც მაძღარ კაცს მოსდის თავში. ეს ფიქრი ახშობს ადამიანის გონებას, აბოროტებს სულს, აღვიძებს მის გულში სიძულვილს, აძინებს, აქარწყლებს სიყვარულს, ადამიანის ღირსებას უკარგავს და პირუტყვად აქცევს. დაბეჩავებულ, გაძვალტყავებულ პირუტყვად რომელიც არც თვითონ და არც მისი ჩამომავალი ცხოვრებისთვის აღარ ვარგა.

უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ მშიერი გლეხი სწავლაზე არ ჰფიქრობს. 7—8 წლის შვილი მას ოჯახში მუშად სჭირია და სკოლაში არ ჰგზავნის. საზოგადოდ არ იშორებს შვილს გვერდიდან. არ მიჰყავს ქალაქს ხელობის სასწავლებლად, არ უშვებს სხვაგან სამუშაოდ, რადგან მარტოხელა დარჩენა მას აშინებს, სიმშილით სიკვდილს უქადის.

მშიერი გლეხი არ ჰფიქრობს და არც შეუძლიან მიწის ყიდვა, საკუთრების შეძენა. იმ მიწას, რომელსაც ის ჰხნავს და სთესავს ხალალოდ, უყიდიან უცხო ტომის ხალხზე. ეს უცხო ტომი უსახლდება მას გვერდით და მატერიალურად და კულტურულად მაღლა მდგომი ჩვენ გლეხებს უქადის ჩაყლაპვას.

მშიერი გლეხი არ ჰფიქრობს მიწის კულტურაზე. მიწის დამუშავებას ცოდნა უნდა. ცოდნა არა აქვს. ხეხილისა, ვაშლის გაშენებას და სხვა დარგს მიწად-მოქმედებისას ფული უნდა. ფული მას არა აქვს. მუშაობის გაადვილებას, გაუმჯობესობას გული უნდა და დრო. არც გული და არც დრო მას არა აქვს.

მისი ერთად ერთი, ყოველ-დღიური ფიქრი მიმართულია პურისა და სიმინდისაკენ. როგორ რა გზით მოიყვანოს სამყოფი პური და სიმინდი რომ იარსებოს, მშიერი არ მოკვდეს. ამ პურს, ამ სიმინდს სთესავს მინდორში, ტყეში, კლდეებზე, ბაღში, ვენახში, გადაბრუნებულ მიწაში. ყველგან და ყოველ ადგილას და მისთვის არ მოერიდება არც დიდ ხარჯს, არც დიდ მუშაობას.

კომბოსტოსი, ჭარხლისა, კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულობის თესვა და მოვლა ქალის საქმეა. გლეხი ამას უყურებს როგორც ქალის საქმეს, უკეთ რომ ვსთქვათ უსაქმურობას. ქალია, დაე, გული გაიქარვოსო.

ხილს გლეხი დიდ პატივსა სცემს ტყემალს, პანტასა და ქლიავს. ეს ხილი სჭირია მას მუშაობის დროს პირის გასასველებლად და თანაც ადვილი მოსაყვლეპი. კაკალი, დოშაბი და სხვა და სხვა გვარი მსხალი და ვაშლი მდიდარი ხალხის საჭმელს შეადგენს. გლეხი მას ბევრს ვერ მოიყვანს, რომ შეეძლოს მისი გაყიდვა და მარტო სახლში საჭმელად არ ღირს მასზე შრომის დაკარგვა.

ერთხელ ერთი მეზობელი გლეხი დავიქირავე მუშად ბაღის გასაწმენდად, სხვა და სხვა უბრალო ხეხილის გამოსაჩეხათ. სადამოზე, ფულით რომ გაუსწორდი, გლეხი შემჩერდა და საწყალი სახით დამიწყო ცქერა.

— შენ რაღაცა გინდა მთხოვო, მითხარი რა გინდა?

— აი იქ, ტყემლის პატარა ფშანი მოვთხარე, თუ არ გამიწყრები, წავიღებ და ჩემს ბაღში დავრგამ!—საწყალი სახით მომიგო გლეხმა.

— წაიღე მეთქი—ვუთხარი გაკვირვებული, რადგან კარგად ვერ მიუხვდი, რა უნდოდა.

მეორე თუ მესამე დღეს საქმეზე მივედი იმ გლეხთან და მის ბაღზე გავიარე, შევხედე, ბაღის საუკეთესო ადგილას ახლად დარგულია ტყემლის პატარა ხე. ორი ბარის პირი მიწა მოუთხრია, ჩარგავს ხე და ზედ ფეხით მოუტკეპნია.

დავუძახე გლეხს და ვკითხე: ეს რა დაგირგავს მეთქი?

— ეს ის ტყემალი გახლავს, გუშინ რომ შენ მიბოძე!—იმავე საწყალი სახით მომიგო გლეხმა.

— შე კაი კაცო, ხილის დარგვა თუ გინდა, მეტყოდი და მოგცემდი ორი-სამი წლის დამყნილ ვაშლს, მსხალს და სხვას!

— აი, შე დალოცვილო, ვისა აქვს მაგის თავი, კაი ხეხილს კაი მოვლა უნდა, მე კი სადა მაქვს მაგისი დრო? ეს კი თავის თავად გაიზრდება და ჩემი ბავშვების გულს გაახარებს.

უბრალო, მცირე გარემოებაა! არა, მკითხველო?...

ხვ. ყ—ნი.

წერილი ბათომიდან

სხვა და სხვა მიზეზების გამო ბათომის ოლქი და იმერეთი მოკლებული იყვნენ „სრულიად რუსეთის ქალაქების კრების“—ყურადღებას.

ასეთს უწესობას დიდმა მთავარმა, მეფის მოადგილემ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მიაქცია ყურადღება და ჯეროვანი განკარგულებაც მოახდინა, რის გამო, წარსული თვის ბოლო რიცხვებში ამ საქმის მოსაწყობად ბათომში ჩამოვიდნენ თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი და საბჭოს წევრი ჟურული. საქმის მოწყობას გასაჭირი არაფერი შეხვედრია: აქვე ბათომში მოინახა საკმაოდ ძალები და შემდგა კომიტეტი თავ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, სადაც შევიდნენ წევრებად: გრ. ლ. ელიავა, ლ. ქიქოძე, არვანიტიდი, ზინიატ-ოღლი, დიმიტრიადი, მატიევიჩი, მდივანი, პანასევიჩი, ფუფსი და გ. ახვლედიანი, მდივნად მიიწვიეს ივ. ს. მესხი.

მთავარი მიზანი, რომელიც კომიტეტისა იყო, თანახმად მეფის მოადგილის პირველ განკარგულებისა—ეს იყო საექიმო დახმარება აღმოეჩინათ კავკასიისა და დაპყრობილ სათათრეთის საზღვრებში გამოქცეულთა გადმოხვეწილთათვის. მაგრამ ასეთმა განკარგულებამ დიდი დაბრკოლება შეტანა საქმეში: მხოლოდ ბათომის ოლქში ითვლებოდა 170—180 ათასი მცხოვრები და 38 ათასი ქ. ბათომში; ომის დაწყებიდან ცხრილი მცხოვრებლებისა შემცირდა: ოლქში—95 ათასამდე და ქალაქ ბათომში—35 ათასამდე. გამოქცეულები და გადმოხვეწილები გაითქვიფენ ერთმანეთში და გარჩევა იმისა, თუ ვინ გადმოხვეწილია და ვინ მკვიდრი მცხოვრები დიდ დროს მოინდომებდა და კომიტეტის მოქმედებას ძლიერ შეამცირებდა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება თვით კამენდანტმა ლიახოვმაც, რის გამო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის წინაშე გაეფართოვებინა კომიტეტის მოქმედება მთელ ოლქზედ. მეფის მოადგილემ ასეთი შუამდგომლობა შეიწყნარა და კომიტეტი დიდის ენერგიით და სისწრაფით შეუდგა თავის ნაყოფიერ მოქმედებას.

მთელ ოლქში ითვლება რამდენიმე საავადმყოფო: ქობულეთში, ხულოში, ართვინში და არტანუჯში, ისიც ამ საავადმყოფოების გამგე ექიმები ზოგი ავად ყოფილა და სამსახურს ვერ ასრულებს, ზოგნიც ჯარში გაუწვევიათ, ისე რომ ნამდვილად საავადმყოფო სუფევს მხოლოდ ქობულეთში.

ამიტომ კომიტეტმა დაადგინა: მოაწყოს ეხლავე სადარაჯო რაზმები და საავადმყოფოები შემდეგ ადგილებში:

1. კინტრიშის ნაწილის დაბა-ქალაქებისა და სოფლებისათვის დაწყებული ქობულეთიდან სოფელ ერგემდინ: პირველი სადარაჯო რაზმი—ერთის ექიმისაგან, ორი ფერშლისაგან და ორი სანიტარისაგან შემდგარი.

2. ქვედა აჭარისათვის—მეორე სადარაჯო რაზმი ერთი ექიმისაგან, სამი ფერშლისაგან და ორი სანიტარისაგან შემდგარი.

3. ზედა აჭარისათვის—10 საწოლიანი საავადმყოფო სოფ. ხულოში, ერთი ექიმისაგან, ორი ფერშლისაგან, სამი ავადმყოფის მომვლელ ქალისაგან ერთი მსახურისაგან და ერთი მრეცხავი ქალისაგან.

4. არტანუჯის ნაწილისათვის—მეოთხე სადარაჯო რაზმი არტანუჯში—ერთი ექიმისაგან, ორი ფერშლისაგან და ორი სანიტარისაგან შემდგარი.

5. შავშეთისათვის—10 საწოლიანი საავადმყოფო სოფ. სათლელში. ერთი ექიმისაგან, ორი ფერშლისაგან, სამი ავადმყოფის მომვლელი ქალისაგან, ერთი მსახურისაგან და ერთი მრეცხავი ქალისაგან, იქვე—სადარაჯო—ორი ფერშლისაგან და ორი სანიტარისაგან.

6. იმერხევისათვის—მეექვსე სადარაჯო რაზმი ერთი ექიმისაგან, ერთი ფერშლისაგან და ერთი სანიტარისაგან შემდგარი.

საერთო ხელმძღვანელობა საექიმო დახმარებისა მიენდო გამოცდილ და საქმის მცოდნე კომიტეტის წევრს ექიმ გრ. ლ. ელიავას.

ამასთანავე კომიტეტმა დაადგინა, მოთხოვნილებისამებრ საავადმყოფოებში საწოლები გაამრავლოს 300-დე. ამასთანავე იყოლიოს ქ. ბათომში სამაგიერო ექიმი, რომელიც გაიგზავნება კომიტეტის გამგე წევრის დასახმარებლად.

ვუსურვებთ კომიტეტს ნაყოფიერ მოქმედებას. თუმცა მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია, მაგრამ იქ სადაც გამოცდილი და საქმის მცოდნე პირები ურევია, იმედია საქმეს სასურველად წაიყვანენ.

მეთვალყურე.

ქართული გალობის საკითხი

ამ დღეებში სინოდის კანტორაში ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით მოხდა წლიური კრება, სიონის ტაძართან „არსებულ ღვთისმშობლის სახელობის ძმობისა“. კრებას მოხსენდა 1914 წლის ანგარიში. მიმდინარე წელს ძმობას გამოუცია წიგნაკები და ბროშურები სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსისა და არქიმანდრიტ პიროსის ნაშრომი „განმარტება მათესა და მარკოზის სახარებათა“. კრებამ ანგარიში უცვლელად დაამტკიცა.

„ძმობის“ საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ ერთხმად ყოვლად სამღვდელონი კირიონი, დავითი, ლეონიდი, გიორგი, ანტონი, არქიმანდრიტები ამბროსი, იოანე (მარღიანი) და ნაზარი. არჩეულ იქმნა აგრეთვე ახლად ძმობის პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ არქიმანდრიტი პიროსი, მის თანაშემწედ დეკ. მ. ტყემალაძე, საბჭოს წევრებად: დეკან. ნ. თალაქვაძე, დეკ. ქ. ცინცაძე, დეკ. ი. მირიანაშვილი, მღ. ი. შუბლაძე და დეკ. ს. შოშიაშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად დეკ. ნ. მჭავარაშვილი, მღ. დ. [illegible] გ. ასათიანი.

ბიბლიოთეკა

კრება შეეხო ქართულ გალობის საკითხს. კრებას მოხსენდა, რომ საოლქო სამოსწავლო საბჭოს, რომელიც სამრევლო სკოლებს განაგებს, თავის დროზე ჰქონია მსჯელობა მღ. პ. კარბელაშვილის და მის შვილის ფილიმონის საგალობელთა კრებულის გამოცემაზე. ძმობას გამოუნახავს თანხა და მოუმზადებია დასაბეჭდათ. ამასთანავე კრებას მოხსენდა, რომ საოლქო სამოსწავლო საბჭოში ყოფილა 1000 მანეთამდის, ქართულ გალობის საჭიროებისათვის. თანხა უნდა გადაეცეს ია კარგარეთელის ახლად შემუშავებულ საგალობლების გამოსაცემად, რაზედაც ექსარხოსს სრული თანხმობა განუცხადებია. ამ საკითხმა ხანგრძლივი და მეტად მხურვალე კამათი გამოიწვია.

მღ. ვ. კარბელაშვილმა მოითხოვა, სანამ ეს კრებული დაიბეჭდებოდეს განხილულ იქმნეს ადგილობრივ კომისიაში ამ ახლად დაწერილ საგალობლების ღირსება-ნაკლებულების გამოსარკვევად, თუ რამდენად იგინი არ დაშორებულან წმინდა ქართულ კილოს. ქართული გალობის კილო ირყვნება თავისუფალ კომპოზიტორებისაგან. მათ უნდა ჯერ დასწერონ, შეისწავლონ ძველი ძირითადი ქართული კილო და შემდეგ ამ საფუძველზე შეუძლიან ავარჯიშონ თავისი მუსიკალური ნიჭი და უნარი. უსაყვედურა თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას და ამ საზოგადოების საეკლესიო გუნდს, რომ ამ გუნდმა სულ ერთიან შერყვნა ქართული გალობა და დიდი არევ-დარევა გამოიწვია ქართულ გალობის გემოვნებაში.

მას უპასუხა **არქ. პიროსმა**, რომელმაც მიუგო, რომ არც კარბელაანთ გალობით არიან კმაყოფილნი. თვითონ ძმები კარბელაშვილები ვერ მორიგებულან მათ გვარში დაცულ გალობის კილოს შესახებ და რა გასაკვირველია, რომ მ. კარბელაშვილს სხვისი გალობები არ მოსწონდესო. მ. ვ. კარბელაშვილის დაწერილი საგალობელთა ნოტები მძიმე შესასწავლია და ვერ გაიკაფა გზა საზოგადოებაშიო, დასძინა მ. არქ. პიროსმა.

კრების თავმჯდომარემ განმარტა: ჩვენ ეხლა გამოვსცემთ აღნიშნულ კრებულთ (ი. კარგარეთლის და პ. კარბელაშვილის) და თუ ვისმე გაქვთ დაწერილი ან გგულებათ სადმე და რომელსაც საზოგადოება მოისურვებს იმას დავბეჭდავთო.

კრებას მოხსენდა, რომ ბ-ნ **ნ. პ. სულხანიშვილს** აქვს ფრიად კარგი ღირსების ნაშრომი ქართული საგალობლები. მას მოუვლია ქიზიყ-კახეთი და ჩაუწერია მრავალი საეკლესიო საგალობელნი, რომელნიც უსახსრობისა გამო ვერ გამოუმზევებიაო და საჭიროა მათი გამოცემაცო.

(დასასრული იქნება)

დამსწრე.

დაბა-სოფლები

სოფ. ნოსტე. (გორის მაზრა). ნოსტეს მშვენიერი მიდამოები და საუცხოვო მდებარეობა აქვს. წინ უდევს სწორე ველი, ოდნავ მტკვრისკენ დაქანებული, იგი ფართოა, საამური სანახავი; უკან აჰყუდებია მაღალი მთა „თითქოს მიწიდან ამოზიდული, ცის გასაპობათ“, რომლის ფერდობი შემოსილია მშვენიერი ტყით. ეს მთა არის მშობელი ცივი წყაროებისა, სოფელ ნოსტეს, რომ ხალისიანათ ჩამოურბენენ. სოფლის აღმოსავლეთ-სამხრეთით კოშკია მაღალი, შეუპოვარი; მისთვის თითქოს ბედის უკუღმართობა, და ჟამთა შეუჩერებელი სრბოლა, არ არსებობს. იგი ამაყად სდგას, მედიდურად გადაჰყურებს არე-მარეს, შორიდან-შორს, და გაგონებთ გიორგი საააკაძეს, რომელიც მის მიდამოებში დაიბადა. სააკაძის ნასახლარზე ეხლაც სცხოვრობენ. ნოსტეს მცხოვრებნი ოცდა-ათ კომლზე მეტი იქნება.

შევხვდა შუა-ხნის გლეხი: გვკითხა ომის შესახებ, ჩვენც რაც ვიცოდით ვუამბეთ, მან უნუგეშოთ თავი გააქანგამოაქანა.

ერთი ყმაწვილი, ქალი ზედ შუა ხნულზე მოეშურებოდა ჩვენსკენ, როცა მოგვიახლოვდა უცებ შესდგა, ამოიოხრა და გვითხრა თვალზე ცრემლებით: „მე ჩვენებური ჯარის კაცები მეგონეთ, ვთქვი, იქნებ ჩემი ძმაც

მოვიდა-მეთქი და იმიტომ გამოვეჩქარეო“. იგი ისევ მალე მობრუნდა და კვლავ გასწია წელ-მოწყვეტილმა უკან.

გლეხს სოფლის მდებარეობა ვუქევით.

— რა გვიშავს, კაცმა რო სწორე სთქვას არაფერი გვაკლია, თითქმის, სახნავ-სათესი მამული ბევრი, ტყე— მშვენიერი და ახლო, წყალი უხვად, ნიადაგი მიწისა ნოყიერი, ჰაერი მარგებელი, მხოლოდ ეს არის, რომ სწავლა არა გვაქვს, ძმობილო, სწავლა.

ხოხო.

ხობი (სამეგრელო). აუწერელია სამეგრელოს სოფლების მდგომარეობა, გარედან მომდგარი მტრის საჭიდაოდ უკეთესი ძალებია გაყვანილი. ამას ხალხი ასეა თუ ისე შეურიგდა, მაგრამ ვერ შეურიგდება მეორე მტერს—შიმშილს, რომელიც სულ მალე მიადგება მეგრელს კარს. წარსული წლის შიმშილობამ ნახევარზე მეტი შინაური საქონელი გააყიდვია მეგრელს. ეხლა, რადგანაც შინაური მსხვილი საქონელი ძნელად იშოვება, ფასიც დიდი აქვს, და შიმშილის მომლოდინე მეგრელი, სათესლე საქონელსაც უპირებს გაყიდვას, თუ დროზედ საიდანმე იმედი არ მიეცა დახმარებისა.

ვაჭრების თავ-გასულობას ხომ საზღვარი არა აქვს.

აფთიაქებში საწყალ კაცს არ შეესვლება საშინელი სიძვირისა გამო. შიმშილობის შესახებ ბევრი დაიწერა ჩვენს გაზეთებში, ზომებიც იყო მიღებული, დახმარებაც აღმოუჩინეს, მაგრამ ჯან-მთელობაზე ზრუნავს ვინმე? არავინ, და ეს მაშინ, როცა სოფლებში საშინელი ციებ-ცხელება და ბავშვთა ავად-ყოფობაა გავრცელებული. მუდმივ წვიმებმა მოწამლა ჰერი და ყვითელ კანიანებს დაამზგავსა ნახევარი სამეგრელო.

ყოველ ჩვენ უბედურებას ზედ დაერთო ყაჩაღების გამრავლება ჩვენში. ღამე მოსვენებით ვერ გვძინავს და გზიდან ისე მოგველიან შინ დარჩენილები, როგორც ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს. სენაკიდან ზუგდიდში მიმავალ შარა-გზაზე ეს მეორე ჯერაა დილიჟნები გაძარცვეს. სამ გიორგობისთვეს ღამე ორი დილიჟანი გაძარცვეს, წაიღეს ფულად 36 მანეთი და ხაბაკები. იმავე ღამეს იმავე გზაზე თერთმეტი მეურმე გაძარცვეს და ბოლოს მედუქნე ჩილავას (ნოჯიხევშია) ესტუმრენ. ჩილავას ჩვენებით, წაართვეს მას საქონელი და 45 მანეთი ფულად. ადგილობრივ (ხობის) პოლიცამ კვალ და კვალ სდია ყაჩაღებს და გათენებისას ს. ხორგაში სიკოია ხეჩიას სახლში მოამწყვდია. ასტყდა ორივე მხრით საშინელი სროლა. ყაჩაღების და პოლიციელების ნასროლი ტყვიები სხვა ბევრ მეზობელ სახლებს მოხვდა. რადგანაც ყაჩაღები პოლიციელებზე მეტი აღმოჩნდა, გაქცევა მოახერხეს.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

სანოვაგე სოფლებიდან ნაკლებად შემოდის, ხურდა ფულს ქუთაისში თანდათან აჩენენ.

— მშობელთა წრე დაარსდა რეალურ სასწავლებელსა და კლასიკურ გიმნაზიაში. 3 გიორგობისთვეს ამ წრეს მსჯელობა ჰქონდა კლასიკურ გიმნაზიაში ქართული ენის ბედ-იღბლის გამოსარკვევად და მისი სწავლების გასაუმჯობესებლად.

— ქუთაისში იმყოფება სახელმწიფო სათათბიროს სოც.-დემოკ. ფრაქციის წევრი დეპუტატი სკობელევი.

ქ. განჯა.

ქალაქში გადამდები სენი მძვინვარებს, ბევრი იხოცება. სანოვაგისა და ხურდა ფულის ნაკლებობა ქ. განჯასაც აწუხებს.

კავკავი.

ღვინის მოსავალი წრეულს თერგის ოლქში ნაკლები იყო.

სოფ. „ვორონცოვკა.“

ბორჩალოს მომრიგებელი-შუამავალი შუამდგომლობს ბ-ნ თბილისის გუბერნატორის წინაშე, რათა სოფ. ვორონცოვკაში გახსნილ იქმნას საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება.

დ. მაიკოპი (ყუბანის ოლქი).

ნავთის სამრეწველო ბირჟაზე ამ წლის დასაწყისიდან 26 ღვინობისთვემდე ამოსულა 6,797,354 ფუთი ნავთი, რომელიც უკვე გაუტანიათ სხვა და სხვა ადგილების საჭიროებისთვის.

სოფ. ველისციხე (კახეთი).

სხვა მრავალ ნაკლულევანებასთან ერთად ჩვენს სოფელს ეხლა ეწვია ფქვილის უქონლობა. გირვანქა პური აქ 10 კაპ. ფასობს და ამ ფასშიც ძნელია შოვნა. ველისციხის საზოგადოებას ხორბლეულობა აქვს დაკვეთილი განჯის გუბერნიაში, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ეღირსა რკინის გზით მის შემოტანას.

დ. ახალ-სენაკი.

გადასწყდა, რომ დაბა ახალ სენაკი ქალაქად გადააკეთონ. ქალაქის თავად ეხლავე ვინმე ლევაშევს ასახელებენ.

— სანოვაგის მხრივ და ხანსენაკი გვარიან პირობებშია, მან ადრევე მოახერხა რკინის გზით სიმინდ-პურის შემოტანა.

სად. წნორის წყალი

— „წნორის წყლის“ სადგურის მახლობლად, სულ ოცს ნაბიჯზე, ნიკო ზურაბის ძე ზედელაშვილმა გახსნა სუფთად მოწყობილი სასტუმრო ნომრებით სახელად „ჯუგაანი“.

სოფ. ხალიფაური (ზემო იმერეთი).

კავკასიის ქვანახშირისა და მადნეულებათა დამმუშავებელ-გამომკვლევმა სამმართველომ ნება დართო საბერძნეთის ქვეშევრდომს ვინმე რადოვიჩს და ჰომერს დაამუშაონ სოფ. ხალიფაურში აღმოჩენილი შავი ქვა და ქვანახშირი.

ს. ღანირი (ქვემო იმერეთი).

ღანირის საზოგადოებამ 1 გიორგობისთვეს მიიღო კოოპერატიულ დუქნის გახსნის ნებართვა.

ს. შემოქმედი (გურია).

საზოგადოების ყრილობაზე განაჩენი გამოიტანეს უმაღლეს პირველ-დაწყებითი სკოლის გასახსნელად. განაჩენი დასამტკიცებლად უკვე წარედგინა ქუთაისის გუბერნატორს.

ს. ბახვი (გურია).

1 გიორგობისთვიდან აქ გაიხსნა ახალი ტიპის უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლა.

ს. ვაჩნაძიანი (კახეთი).

1 გიორგობისთვეს ღამის 10 საათზე ორი შეიარაღებული პირი თავს დაეცა სოფ. ვაჩნაძიანის წვრილ კრედიტის მოლარეს თავად გრიგოლ ჯანდიერს და გაეძარცვათ იგი. ბოროტ-გამზრახველებმა თავად ჯანდიერს წაართვეს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი 39 მან. ფულად, შემდეგ თოფის კონდახის ცემით ერთი ხელი მოსტეხეს და მიიმალნენ.

საინგილო.

საინგილოში წელს ორ საქმეს ჩაეყარა საძირკველი. პირველი არის საპედაგოგიო კურსები, მხოლოდ მეორე კოოპერატივის დუქანი, რამაც დიდათ დააფრთხო და უსაზღვრო თარეში შეაჩერებინა აქაურ ჩარჩ-ვაჭრებს.

დ. ცხინვალი.

დაბაში დიდი სიძვირეა. ურემი შეშა რომელზედაც 11—12 ღერი შეშა ძევს 7—9 მანეთად ფასობს, ერბო გირვანქა 80 კაპ. შაქარი 35 კაპ. არ იშოვება ხურდა ფულიც.

მგზავრის შენიშვნები

მისალმება

როდესაც შედიხართ რომელიმე ოსმალოს ან ქურთის სახლში, ყველანი მოკეცილები სხედან—შესვლისას მისული სტუმარი ეტყვის:

— სალამ მალექუმ!—(მშვიდობა აქაურობას).

— ალექუმ სალამ— (აგრეთვე შენ). შემდეგ, როცა სტუმარიც დაჯდება, ყველას ცალ-ცალკე მიუბრუნდება—ხელს ჯერ გულზე დაიდებს, მერე პირზე და თავზე, უკრავს ყველას თავს. ეს ნიშნავს—გულით, სულით, და აზროვნებით გისურვებ კეთილსო, ამაზედ მასპინძელნი უპასუხებენ იმავე ნაირად და თან დაატანენ „საფა გალდი“—(კეთილი იყოს შენი მოსვლა) ამის შემდეგ, თუ პატივსაცემი სტუმარია, მაშინვე პატარა ფინჯნით ყავას მიართმევენ—და შემდეგ დაიწყობა ჩაის სმა და საჭმელიც თან მოჰყვება. აქ თუთუნის თხოვნა არ იციან, დაუკითხავად ვისაც უნდა აიღებს თამბაქოს ქისას, გაიკეთებს პაპიროს, ახლა სხვას გადასცემს და ასე.—მთელი დღე ჩაის სმაში და თუთუნის წევაში ატარებენ.

ნამაზი

რაც უნდა დიდი საქმე ჰქონდეს ოსმალელს, ქურთს, ნამაზის დროს იმ საქმეს თავს დაანებებს და „ნამაზს“ უსათუოდ შეასრულებს. სტუმრებიც ასევე იქცევიან და ერთსა და იმავე დროს ათი—თხუთმეტი კაცი ლოცულობს, სხვები ამ დროს ლაპარაკობენ და თუთუნს ეწევიან და მლოცველთ არავითარ ყურადღებას აქ აქცევენ.—ის თავის წესს ასრულებსო.

სამღვთო

სამღვთოს ოსმალთა შორის სამნაირი დანიშნულება აქვს. პირველი ეს „ყურბან ბაირამობას“—როდესაც ღმერთს უკლავენ ცხვარს იმის მოსაგონებლად, რომ აბრაამს უნდოდა თავისი შვილი ისააკი ღმერთის დავალებით მსხვერპლად შეეწირა. მეორე ეს საერთო ოჯახის სამღვთო, როგორც ჩვენში „კურატის შეყენება“. აქეთ მხოლოდ ერბოში გამომცხვარი პური იციან. მესამე—ეს ღარიბებისათვის დასარიგებლად.

ფატრა, ან ორუჯი. (მარხვა).

მარხვა აქ იწყობა რამაზანის თვეში (ჩვენებურად ვერ გამოვიკვლიე რა თვეა, რადგან ყველა თვეები ამათ ათი დღით წინ აქვთ). და გრძელდება 30 დღე—ყველა მუსულმანი მოვალეა ეს მარხვა შეინახოს, მარხვა გამოიხატება იმაში, რომ არ ეწევიან თუთუნს და არც დილიდან საღამომდის სჭამენ რამეს. როდესაც ეს მარხვა თავდება, ყველა შეძლებული ოჯახი მოვალეა გადიხადოს „ფატრა“—რადგანაც რჯულის წესით ის 30 დღის შენახული მარხვა და ლოცვა ჩერდება ცისა და დედამიწის შუა და ღმერთი ვიდრე არ მიიღებს, მანამ „ფატრა“ არ იქნება გადახდილი. ეს კი გამოიხატება შემდეგში: მარხვის გათავებისას ოჯახში გინდაც ასი სტუმარი იყოს და თავიანთებთან ერთად აკვნის ბავშვიდგან დაწყობილი მოვალეა სახლის პატრონმა თვითო მის სახლში მყოფ და სტუმრისაც გადიხადოს ღარიბების სასარგებლოდ 7 გირვანქა ხორბალი ან მისი ღირებული ფასი. ასე რომ იმ დღეს მის სახლში 100 სული რომ იყოს 700 გირვანქა ხორბალი უნდა გაიღოს, აი ამას ჰქვია „ფატრა“, რის შემდეგ ლოცვა მიღებული იქნება ღმერთისგან.

უფროსის პატივისცემა.

ოჯახი აქ უუფროსოთ არ არის, თუ მოხუცი არავინა ჰყავთ სახლში, მაშინ ვინც წლოვანობით დიდია, იმას აყენებენ და ეს განაგებს ოჯახს—მისი სიტყვა ყველასთვის კანონია. მაგალითად ყველანი სხედან და ამ დროს თუ უფროსი წამოდგა, მაშინ ყველანი წამოდგებიან, როცა დაბრუნდება ვიდრე არ დაჯდება ყველანი ფეხზე დგანან მხოლოდ მის დაჯდომასთან ისინიც ჯდებიან. ასევე ექცევიან პატივსაცემ სტუმარს.

ძმათ გაფიცვა.

წელიწადში ერთი დღე აქვთ, თუ ვისმეს სურს ძმათ გაფიცვა, შეუძლიან ქალს-კაცთან, ქალს-ქალთან, კაცს-კაცთან. შეიკრიბებიან და ხელი ხელს მისცემენ—მოლა რამდენიმე სიტყვას წაუკითხავს ყურანიდან, რასაც იმეორებენ გაფიცულნიც. გათავებისას სამუდამოდ ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ხდებიან. ეს ხშირად მათ შორის ხდება, ვისაც ერთმანეთში სისხლი აქვთ ასაღები.

ვანო ხ—შვილი.

რუსეთი

სახელმწიფო სათათბიროს ბიუჯეტის კომისიაში გამოირკვა რომ მიუხედავად ფოსტის ნიხრის გადიდებისა, მაინც ამ წელიწადში ფოსტას 13 მილიონი მანეთი უზარალნია.

მიზეზად ასეთ მოვლენისა სხვათა შორის იმასაც ასახელებენ, რომ ზოგიერთი კუთხეები რუსეთს ჩამოაჭრეს და იქ რუსის ფოსტა აღარ მუშაობდა. აღარც იმ ადგილებში მუშაობდა, რომელთაც მტრის მოახლოვების გამო ევაკუაცია უყვეს. ზარალი იმ მიზეზითაც არის გამოწვეული, რომ აუარებელი წერილები უფასოდ იგზავნებოდა ბრძოლის ველზე მომქმედ ჯარში

თანახმად მთავარ სარდლის განკარგულებისა, პეტროგრადში 8 ებრაელური გაზეთი დაიხურა.

მოსკოვი.

მოსკოვის უნივერსიტეტში სათბობი მასალის უქონლობისა გამო საშინლად ცივა. 8 ვაგონი ქვანახშირი დაუბარებიათ უნივერსიტეტისათვის, მაგრამ სადღაც სადგურზეა გაბანდებული.

გზათა მინისტრის განზრახვა.

გზათა მინისტრის მოსაზრებით მოსკოვსა და პეტროგრადში ვაგონებით მისული საქონელი 48 საათის განმავლობაში უნდა გადმოიტვირთოს, ხოლო ჩქარა გასაფუჭებელი კი 24 საათში. თუ ამ ვადაში არ გაიტანეს, საქონელი ქალაქის განკარგულებაში გადავა, სურსათ-სანოვაგეს მცხოვრებთა შორის გაანაწილებენ, დანარჩენი საჯარო ვაჭრობაში გაიყიდება.

ჩხრეკა-დაპატიმრება.

მოსკოვში რამდენიმე სოც.-დემოკრატის ბინა გაჩხრიკეს. აღმოაჩინეს 2 ფარული სტამბა. კაცი დააპატიმრეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა „ხარფუხის კლუბში“.

დღეს ოთხშაბათს, საღამოს 9 საათზედ ხარფუხის კლუბის საზამთრო შენობაში (მიხეილის ქუჩა № 131) დანიშნულია ქართ. დრამ საზოგ. დასის უფასო წარმოდგენა. ითამაშებენ ნ. აზიანის საუცხოვო კომედიას „ფული და ხარისხი“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ მამა და შვილი აბაშიძენი, ბ-ნი გუნია, ივა-შვილი, მგალობლიშვილი, ჩერქეზიშვილისა და ჯავახიშვილისა და სხვანი. წარმოდგენაზედ დასწრება უფასოა.

ქართ. დრამ. დასის სეზონი სახალხო სახლში.

პარასკევს, 13 ნოემბერს სახალხო სახლში გაიხსნება ქართული წარმოდგენების სეზონი ქართ. დრამატ. საზოგადოების დასისა. წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის ცნობილი პიესა „გადაჭრილი მუხა“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს მთელი დასის ყველა წევრები. ადგილების ფასი სახალხო სახლში ქართულ სექციის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაწყვეტილია ასე: გალერეია იწყობა სამი შაურიდან, ხოლო ბალკონები ხუთი შაური, პარტერი კი იწყება ათი შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდე. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

ვ. შალიკაშვილის ავადმყოფობა.

როგორც ბაქოდან ჩამოსულებმა გვიამბეს ვ. შალიკაშვილი, რომელიც მიწვეულია წელს ბაქოში ქართული წარმოდგენების რეჟისორად, ავადმყოფობს მალიარიით (დამპალი ციებით) და ძლიერ დასუსტებულა.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ: ა) ოქროს ბეჭედი, როდაბ დედოფლისა (ასული ქართლის მეფის გიორგი მე-XI-სა და მეუღლე იმერეთის მეფის გიორგი მე-VI-სა, ბ) ვერცხლის ქამარი, რომელიც შესდგება ცხრა ხიდისაგან და ორი შესაკრავი ბალთისაგან. უსხედს ფირუზის თვლები, გ) თარნაქის ჩაჩხურა, ღილის მსგავსი, დ) გველეშაპის გამოხატულობა თარნაქის ფირფიტაზე, ე) სპილენძის პატარა ცხვრის თავი (რაჭაში ნაპოვნი), ვ) ქალის სამკაული (ძეძვი ვერცხლისა), ზ) საფულე, ოქრომკედით ნაქარგი, ც) შვიდი ვერცხლის ფული (ორი ბიზანტიური ორი სასანიანთ დინასტიისა, ორი კოლხური და ერთი პოლონური) და ოთხი შავი ფული (სამი ქართულია: ორი ბაქარ მეფისა და ერთი თეიმურაზ მე-II-სა) და თ) წარმართობის დროის თიხის ჯამი.

2. პავლე მიხეილის ძემ მოსეშვილმა: ა) ხელჩოს მსგავსი პატარა იარაღი სპილენძისა და ბ) ორი ვერცხლის ფული (ერთი ქართული ორიაბაზიანი და ერთიც ბიზანტიური ტიპისა) და ორმოცდა ექვსი შავი სხვა და სხვა ფული.

3. თამარ ივანეს ასულმა ელიაშვილმა: ა) იასონ ჭავჭავაძის სურათი, ზეთიანი ფერადებით ნახატი და ბ) ლექსების კრებული, ხელნაწერი. შიგ არის მოქცეული სხვათა შორის გრ. ორბელიანისა და რ. ერისთავის ავტოგრაფები.

4. ელენე სოლომონის ასულმა თუხარელისამ: სამოციქულო და კურთხევანი ხუცურად, ნაბეჭდი 1826 წ.

5. „სახალხო ფურცელმა“: თამარ მეფის და მეუღლისა მისისა დავით მეფის შესხმა ჩახრუხაძისა, დაბეჭდილია 1838 წ.

6. სვიმონ არჯევანიძემ: ორი თეთრი ფული (ქართული და ბერძნული).

7. გ. ბაქრაძემ: შავი ქართული ფული.

8. მგალობლიშვილმა: ცხრა თეთრი ფული (გადმოგვცა გრიგოლ დიასამიძემ.)

9. არჩილ კონსტანტინეს-ძემ მაღალაშვილმა: სამი თეთრი ძველებური ფული და ოთხიც შავი.

10. კონსტანტინე იოსების-ძემ მამაცაშვილმა: ვერცხლის თასი შემდეგი ზედწარწერით: „მთვრალთა სირეგვნით ეცემის ძალი, აჰა ატარე: სიმარჯვით: თვალი: მისხალი ლზ.“ (გადმოგვცა ელენე აბულაძისამ(, რვა თეთრი სპარსული ფული, ერთი ნიკელის ფული და ოთხი შავი (გადმოგვცა გერასიმე იმნაიშვილმა.

11. მიხეილ ანდრიას-ძემ ზდანევიჩმა: რკინის ქალამანი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ ბ-ონ კარბელის საპასუხოთ.

„სახ. ფურ.“ 383 ნომერში მოთავსებულია ვინმე კარბელის წერილი ალავერდობაზე სადაც სხვათა შორის სწერს: დღეობის გათავებისას 100-მდე ცხენოსან თუშს უნდოდათ ალავერდისათვის სიმღერით გარს შემოვლა. მაგრამ ალავერდის ბერი-ხაზინადარი ჯოხით წინ დაუდგა და გალავანში არ უშვებდა, ამ ამბავმა ბევრი აღაშფოთა, ნუ თუ ბერებს არ ესმით, რომ ამ ჩვეულებაში ერთგვარი ხელოვნების გარდა ისმის გმირული სული ჩვენი წარსულისა. თუშებმა მაინც თავისი გაიტანეს და ალავერდის გარშემო ძველი სიმღერა სთქვეს და ბოლოს დაუფიქრებლივ უმატებს, ბევრის მხრით დამაფიქრა ბერების შეუგნებლობამაო“.

ალავერდის ტაძარს გარს გალავანი არტყია, რომლის გარედ დაბააქდება ხოლმე მლოცავი და აგრეთვე იმართება ვაჭრობა. მხოლოდ გალავანში კი ქვეითად შედიან ეკლესიაში სალოცავად. ეკლესიის გარშემო ჩვენ წინაპართა საფლავებია, რომელთა მიწის პირას მდებარე საფ. ქვებზე ჩასმულ მარმარილოს ფიცარზე შესაფერისი წარწერები აქვს, არის კიდევ ძველი [illegible] აკლდამების ნაშთები, რომლებიც პროფ. ხახანაშვილის გამოკვლევით უნდა იყოს ალავერდის მიტროპოლიტების საუკუნო განსასვენებელი. ყველა ამ ნაშთს წესიერი მოვლა და პატივისცემა უნდა და თუ შესაძლებელია ადამიანის ფეხიც არ უნდა მოახვდეს. ბ-ნი კარბელი-კი პირიქით სწუხს რატომ საჯიყითოდ არ გახადეს წმ. იოსებ ალავერდელის და კახეთის დედოფალ ქეთევანის განსასვენებელი ადგილია.

დიახ მე დაუშალე და ამას მიკარნახებდა რელიგია და ამ წმინდა ადგილების პატივისცემა, როცა ორმოციოდე (და არა ასი), ძალზე შეზარხოშებული თუში ცხენების ჭენებით გალავანში შედიოდნენ და არა ჯოხით ხელში და იმ სახით, როგორც იგი სწერს, არამედ მორჩილად ვთხოვე: ქვეითად შემოევლოთ ეკლესიისთვის, ან თუ ცხენებით ჰსურდათ, გალავნის გარშემო შეეძლოთ, მაგრამ ჩემმა მუდარამ არ გასჭრა. შეცვივდნენ გალავანში, ეკლესიას გარს შემოუარეს და იმის გარდა რომ წალახეს იქაურობა მლოცველნი, დააწიოკეს და აქეთ-იქით გაჰფანტეს,

აი ასე იყო ნამდვილად საქმის გარემოება.

შუამთ—ალავერდის ხაზინადარი ბერ-მონაზონი **მალაქია.**

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen·

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
„ საღ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвеструу Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეჯველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.